ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის

ბავშვზე მორგებული ქალაქის ინიციატივის (CFCI) განხორციელების 2022-2025 წლების სტრატეგია

მომზადებულია ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ, გაეროს ბავშთა ფონდის ,,ბავშვზე მორგებული ქალაქის ინიციატივის“ გაზიარების, დანერგვისა და „ბავშვზე მორგებული ქალაქის“ აკრედიტაციის მიღების მიზნით, UNICEF Georgia-ს მხარდაჭერით.

1. სტრატეგიის მისია და ხედვა

„ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის „ბავშვზე მორგებული ქალაქის ინიციატივის“ სტრატეგიის” (შემდგომში „სტრატეგია“) მისიაა, გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის პრინციპებისა და მიდგომების ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში დანერგვით ხელი შეუწყოს ქ. ქუთაისში ბავშვისათვის უსაფრთხო, ჯანსაღი და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნას.

ბავშვზე მორგებული ქალაქების ინიციატივა, რომელსაც უძღვება გაეროს ბავშვთა ფონდი, მხარს უჭერს მუნიციპალიტეტებს ადგილობრივ დონეზე ბავშვთა უფლებების განხორციელებაში. ინიციატივა დაინერგა 1996 წლიდან და მის განხორციელებაში ჩართულია 190 ქვეყნის 3000-ზე მეტი მუნიციპალიტეტი.

ბავშვზე მორგებული ქალაქის კონცეფცია აერთიანებს ადგილობრივ ხელისუფლებას და სხვა პარტნიორებს - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, კერძო სექტორს, სამეცნიერო სექტორს, მედიას, და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, თავად ბავშვებს, რომლებიც იღწვიან იმისთვის, რომ მუნიციპალიტეტში არსებული გარემო გაუმჯობესდეს და მაქსიმალურად მოერგოს ბავშვებისა და ახალგაზრდების ინტერესებს.

ბავშვზე მორგებული გარემო გულისხმობს გარემოს სადაც:

- ადგილობრივი ხელისუფლება თითოეულ ბავშვს და ახალგაზრდას ეპყრობა პატივისცემით და სამართლიანად, დისკრიმინაციის გარეშე;
- ბავშვის აზრი მნიშვნელოვანია; ადგილობრივი ხელისუფლება ითვალისწინებს ბავშვის საჭიროებებსა და პრიორიტეტებს ადგილობრივი პოლიტიკის იმ დოკუმენტების, პროგრამების, პროექტების დაგეგმვისას, რომლებიც ეხება ბავშვს;
- ყველა ბავშვს და ახალგაზრდას აქვს წვდომა ხარისხიან სოციაულრ სერვისებზე;
- ყველა ბავშვი და ახალგაზრდა ცხოვრობს უსაფრთხო, დაცულ და სუფთა გარემოში;
- ყველა ბავშვს და ახალგაზრდას აქვს შესაძლებლობა იცხოვროს ოჯახურ გარემოში, დაისვენოს და განვითარდეს ასაკის შესაბამისად.

2. სტრატეგიის ზოგადი მიზანი

წინამდებარე სტრატეგიის მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს ქ. ქუთაისის მუნიციალიტეტში ისეთი გარემოს შექმნას, სადაც:

- ბავშვები არიან დაცული ექსპლუატაციის, ძალადობის და ჩაგვრისგან;

- იზრდებიან ჯანმრთელები, მზრუნველ გარემოში;
- აქვთ წვდომა საბაზისო სერვისებზე;
- იღებენ ინკლუზიურ, მონაწილეობით და ხარისხიან განათლებას და იძენენ შესაბამის უნარებს;
- გამოხატავენ საკუთარ აზრს და ახდენენ გავლენას იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მათ ეხება;
- მონაწილეობენ საოჯახო, სათემო/საზოგადოებრივ კულტურულ და სოციალურ ცხოვრებაში;
- ცხოვრობენ სუფთა, დაუბინძურებელ და უსაფრთხო გარემოში, აქვთ წვდომა მწვანე სივრცეებზე;
- ხვდებიან მეგობრებს და აქვთ შესაბამისი გარემო თამაშისა და დასვენებისთვის;
- აქვთ თანაბარი შანსი განვითარებისთვის, მიუხედავად ეთნიკური წარმომავლობისა, რწმენისა, შემოსავლისა, სქესისა და ფიზიკური შესაძლებლობებისა.

3. სტრატეგიის პრინციპები

სტრატეგია ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება
- ინკლუზიურობა და მულტისექტორული მონაწილეობა
- თანასწორობა და თანაბარი ხელმისაწვდომობა
- მტკიცებულებაზე დაფუძნებული მიდგომა
- ბავშვებისა და ახალგაზრდების აქტიური ჩართულობა
- ციკლის უწყვეტობა და განგრძობადობა

4. სტრატეგიის შემუშავების პროცესი

სტრატეგია მომზადდა ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის და UNICEF საქართველოს პარტნიორობის შედეგად, ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და UNICEF საქართველოს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში.

სტრატეგია ითვალისწინებს ქ. ქუთაისში ბავშვთა კეთილდღეობის სიტუაციაური კვლევის შედეგად გამოვლენილ გამოწვევებს და ემსახურება მათზე რეაგირებას. ამასთან, აღნიშული კვლევა წარმოადგენს ათვლის წერტილს სტრატეგიისა და მისი სამოქმედგო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების და მათი პოზიტიური გავლენის შეფასებისას.

სტრატეგიის შექმნის პროცესი მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

- ქ. ქუთაისში ბავშვთა კეთილდღეობის სიტუაციური კვლევა და შედეგების ანალიზი;
- ბავშვზე მორგებული ქალაქის სტრატეგიის შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფის შექმნა;
- ადგილობრივ დონეზე არსებული პროგრამების, რესურსებისა და სერვისების ანალიზი;
- ბავშვთა კეთილდღეობის კვლევაზე დაყრდნობით პრიორიტეტების განსაზღვრა;
- შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან - არასამთავრბო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორის, მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებთან, ბავშვებთან, ახალგაზრდებთან;
- სტრატეგიის ნარატიული ნაწილის შემუშავება;
- სტრატეგიის სამოქმედო გეგმის პროეტის შემუშავება;
- სტრატეგიის სამოქმედო გეგმის საჯარო განხილვა;
- სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცება.

5. სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

<u>სტრატეგიული მიზანი 1. ბავშვთა სიღარიბის დაძლევა.</u>

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონები გამოირჩევა ბავშვთა სიღარიბის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებლით ქვეყნის მასშტაბით. ამის მიუხედავად, ქუთაისში თითქმის სამჯერ ნაკლებია სახელმწიფო სოციალური დახმარების მიმღებ პირთა პროცენტული რაოდენობა. მუნიციპალიტეტი გასცემს რამდენიმე სახის ფულად და არაფულად დახმარებას სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და ოჯახებისათვის, თუმცა ეს დახმარება ბენეფიციარების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილზე ვრცელდება.

ბავშვთა სიღარიბის დასაძლევად მუნიციპალიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფო სოციალური დახმარების პროგრამებში მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა ჩართვას, დაგეგმოს და განახორციელოს სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამები, რომლებიც დაეფუძნება ბენეფიციართა გამოვლენის ალტერნატიულ (სახელმწიფო სოციალური დახმარების მიმღებთა შეფასებისგან დამოუკიდებელ) მექანიზმს.

<u>ამოცანები:</u>

1.1. სახელმწიფო სოციალური დახმარების პროგრამების შესახებ მოსახლეობის ცნობიერება ამაღლებულია;

1.2. სიღატაკეში მცხოვრები ბავშვების გამოვლენისა და მუნიციპალურ პროგრამებში ჩართვისთვის შექმნილია ალტერნატიული (სახელმწიფო სოციალური დახმარების მიმღებთა შეფასებისგან დაოუკიდებელი) და ეფექტიანი მექანიზმი;

1.3. სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების შესახებ სახელმწიფო და მუნიციპალური მონაცემთა ბაზა განახლებულია.

<u>სტრატეგიული მიზანი 2. ბავშვის მიმართ ძალადობის აღმოფხვრა</u>

ქუთაისის მუნიციპალიტეტში საკმაოდ მაღალია ბავშვთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმის მაჩვენებელი. ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად მნიშნელოვანია მუნიციპალიტეტის იმ თანამშრომლების მომზადება, რომლებსაც ხშირი შეხება აქვთ ბავშვებთან და მათი დატრენინგება ძალადობის, შეურაცხყოფის და უგულებელყოფის შემთხვევების გამოვლენასა და რეფერირებაში. ასევე მნიშვნელოვანია, ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისათვის სარეაბილიტაციო სერვისების შექმნა, მშობლებისთვის პოზიტიური მშობლობის თემაზე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ლექციების დანერგვა, საზოგადოების ცნობიერების გაზრდა ბავშვთა უფლებებისა და ბავშვთა მიმართ ძალადობის შედეგების შესახებ, რაც პირდაპირ ემსახურება ძალადობის პრევენციას.

<u>ამოცანები:</u>

2.1. ბავშვთან შემხებლობაში მყოფი თანამშრომლების ცოდნა და კვალიფიკაცია გაზრდილია;

2.2. დანერგილია ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის სარეაბილიტაციო და მხარდაჭერის სერვისები;

2.3. გაზრდილია ცნობიერება პოზიტიურ მშობლობასთან დაკავშირებით;

2.4. გაზრდილია ცნობიერება ბავშვის უფლებების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით;

<u>სტრატეგიული მიზანი 3. ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებზე ზრუნვა</u>

ქუთაისში საკმაოდ მაღალია ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების რაოდენობა. ადგილობრივი თვითმმართველობის, ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის მჭიდრო თანამშრომლობით

უზრუნველყოფილი უნდა იყოს ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისათვის მისადაგებული მხარდაჭერა: მუნიციპალური სოციალური დახმარების პროგრამებში ჩართვა, სოციალური საცხოვრისით სარგებლობა, სარეაბილიტაციო სერვისები როგორც ბავშვების, ისე მათი მშობლებისათვის, რომლებსაც აქვთ ალკოჰოლის ან ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემები ან ფსიქოლოგიური დაავადებები.

ამოცანები:

3.1. შემუშავებულია მუნიციპალური პროგრამა, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისა და მათი ოჯახების მხარდაჭერის მიზნით;

3.2. ზუსტდება მონაცემთა ბაზა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების რაოდენობის შესახებ;

სტრატეგიული მიზანი 4. ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა

ქუთაისის მუნიციპალიტეტში ჯანდაცვის რამდენიმე პროგრამა მოქმედებს, რაც ნაწილობრივ აფინანსებს ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევის ეროვნული პროგრამის მიღმა დარჩენილ სერვისებს - მედიკამენტებით უზრუნველყოფა, გეგმიური ოპერაციების თანადაფინანსება, ლეიკემიითა და სოლიდური სიმსივნით დაავადებული ბავშვების მხარდაჭერა. ჯანდაცვის ძირითად და განსაკუთრებით მნიშვნელოვან სერვისებზე ბავშვების ხელმისაწვდომობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის მიზანშეწონილია, მუნიციპალიტეტის მიერ თანადაფინსების არსებული პროგრამების ბიუჯეტის გაზრდა და ახალი, მ.შ. ჯანმრთელობის დაცვის პროფილაქტიკური პროგრამების დანერგვა და დაფინანსება.
ასევე, მნიშვნელოვანია საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის ფარგლებში დაფინანსებული ჯანდაცვის მომსახურების სახეობისა და დაფინანსების შესახებ ბავშვიანი ოჯახების ინფორმირებულობის გაზრდა.

ამოცანები:

4.1. გაზრდილია ოპერაციების, განსაკუთრებით მძიმე დაავადებების მქონე ბავშვების ჯანდაცვის სერვისების თანადაფინანსება;

4.2. გაზრდილია ბავშვების მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

4.3. დანერგილია ზოგიერთი სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება მოწყვლადი ჯგუფებისათვის (სტომატოლოგიური და ორთოპედიული სერვისები);

4.4. დანერგილია ჯანდაცვის პროფილაქტიკური პროგრამები ბავშვებისათვის - უფასო სამედიცინო სკრინინგი და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის პროგრამა;

4.5. გაზრდილია მოსახლეობის ინფორმირებულობა, საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის პროგრამის, დაზღვევით სარგებლობის წესების, მუნიციპალიტეტის მხრიდან თანადაფინანსების პირობებისა და მოცულობის შესახებ.

<u>სტრატეგიული მიზანი 5. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) ბავშვების ხელშეწყობა</u>

ბავშვთა კეთილდღეობის კვლევის შედეგად გამოვლინდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის მხარდამჭერი მუნიციპალური სერვისების მნიშვნელოვანი ნაკლებობა. ქუთაისის მუნიციპალიტეტი აფინანსებს აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვების სარეაბილიტაციო პროგრამას, თუმცა ძალიან დიდია ამ პროგრამით სარგებლობის მომლოდინე პირთა სია. პროგრამის მოცვის გაზრდასთან ერთად, მუნიციპალიტეტმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის დღეს ხელმისაწვდომი სერვისების გასაუმჯობესებლად და ახალი სერვისების შესაქმნელად. უნდა შემუშავდეს საშუალოვადიანი გეგმა, რომლის მთავარი მიზანი არის აუცილებელი სოციალური სერვისების (მაგალითად, ლოგოპედის მომსახურება) ხელმისაწვდომობა ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისთვის.

ასევე, მნიშვნელოვანია საინფორმაციო კამპანიის წარმოება შეზღუდული შესაძლებელობების მქონე ადამიანების სტიგმატიზაციის დასაძლევად.

<u>ამოცანები:</u>

5.1. გაზრდილია აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვების რეაბილიტაციის პროგრამის მოცვა;

5.2. დანერგილია ახალი მუნიციპალური სერვისები (მაგალითად ლოგოპედის მომსახურება) შშმ ბავშვების მხარდაჭერის მიზნით;

5.3. გაზრდილია მოსახლეობის ცნობიერება როგორც ინკლუზიის, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სტიგმატიზაციის საკითხებზე;

5.4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მონაცემთა ბაზა განახლებულია;

<u>სტრატეგიული მიზანი 6. ბავშვის დასვენებისა და გართობის ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია</u>

ქუთაისში არსებული სარეკრეაციო და დასასვენებელი პარკების აქტიური რეაბილიტაციის მიუხედავად, მწვანე სივრცეების ხელმისაწვდომობა ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. მოსახლეობის დიდ ნაწილს სჭირდება მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობა, დასასვებენებელ პარკში ან საბავშო მოედანზე მისასვლელად.

სკვერებისა და საბავშო მოედნების ნაწილი ისევ დაზიანებულია და საჭიროებს აღდგენასა და განახლებას, ნაწილი კი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.

მნიშვნელოვანია, რომ სკვერების, საბავშვო მოედნებისა და პარკების მშენებლობისა და სარემონტო სამუშაოების წარმოების ტემპი შენარჩუნდეს, რათა მოხდეს მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი მიზნის მიღწევა - რეკრეაციული სივრცეების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა ბავშვისთვის.

<u>ამოცანები:</u>

6.1. გაზრდილია დასასვენებელი პარკების, სარეკრეაციო ზონების, სათამაშო და სპორტული მოედნების რაოდენობა, გაზრდილია ბავშვების ხელმისაწვდომობა სარეკრეაციო და დასასვენებელ სივრცეებზე;

6.2. ძველი სტანდარტით გაშენებული სკვერები, პარკები, სარეკრეაციო სივრცეები, ასევე სათამაშო და სპორტული მოედნები ადაპტირებულია შშმ პირთა საჭიროების შესაბამისად;

<u>სტრატეგიული მიზანი 7. ბავშვებისა და ახალგაზრდების ჩართულობა მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში</u>

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლი განსაზღვრავს მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულებას, „უზრუნველყონ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლება, თავისუფლად გამოთქვას თავისი შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება, ამასთან, ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად.“ ეს უფლება აღიარებული და გარანტირებულია საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსის მიხედვითაც. მუნიციპალიტეტმა უნდა შექმნას მექანიზმები ბავშვებისა და მოზარდების ჩართულობისთვის და უზრუნველყოს მათი მოსაზრებების ასახვა ბავშვებთან დაკავშირებულ ყველა გადაწყვეტილებაში.

ბავშვებისა და მოზარდების მონაწილეობა ხელს უწყობს უფრო ეფექტიანი და ბავშვის საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას.

ბავშვებთან დაკავშირებულ ყველა მუნიციპალურ პროგრამას/პროექტს უნდა ჰქონდეს მკაფიო მონაწილეობითი ინსტრუმენტი როგორც დაგეგმვის, ასევე განხორციელებისა და შეფასების ეტაპაებზე ბავშვების ჩართულობისთვის.

ამოცანები:

7.1. დანერგილია ბავშვებისა და ახალგაზრდების გადაწყვეტილების პროცესში მონაწილეობის ინსტრუმენტები;

7.2. მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული პროექტები/პროგრამები ეფუძნება ახალგაზრდების საჭიროებებს;

7.3. გაზრდილია ახალგაზრდებისა და ბავშვების ცნობიერება ადგილობრივი თვითმმართველობის ამოცანებისა და ფუქნციების, აქტიური მოქალაქეობისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ.

7. სტრატეგიის განხორციელებაში ჩართული ფაქტორები

ბავშვის უფლებების დაცვისა და ბავშვის მხარდაჭერის სფეროში არსებულ გამოწვევათა დაძლევა შეუძლებელია მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ძალისხმევით. ბავშვზე მორგებული გარემოს უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ყველა აქტორის - სახელისუფლებო, ადგილობრივი თვითმმართველობის, სამოქალაქო და კერძო სექტორის, დონორი ორგანიზაციების, ასევე მედიის წარმომადგენლების, საზოგადოების ყველა წევრის მ.შ. ბავშვებისა და ახალგაზრდების ძალისხმევის გაერთიანება.

სტრატეგია მიზნად ისახავს, უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების ჩართვა სტრატეგიის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.

8. სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება

სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასებისთვის დაინერგება რიგი მექანიზმები:

1. ყოველწლიურად გამოქვეყნდება ანგარიში სტრატეგიის განხორციელების შესახებ;
2. ყოველწლიურად ჩატარდება კვლევა სტრატეგიის განხორციელების შედეგად გავლენის შეფასების მიზნით;
3. შეიქმნება და დაინერგება მონაწილეობითი ინსტრუმენტი - მუდმივმოქმედი პლატფორმა (მუნიციპალური ახალგაზრდული ფორუმი, ახალგაზრდული იდეების საბჭო და ა.შ.), ადგილობრივ თვითმმართველობასა და სხვა დაინტერესებულ პირებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის;
4. არსებული შედეგების გათვალისწინებით განხორციელდება სტრატეგიის შუალედური და საბოლოო შეფასება და მასში შესაბამისი დამატებებისა და ცვლილებების შეტანა.